

შპს დაზგა



ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	7
4. ამონაგები	7
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7
6. სხვა შემოსავალი	7
7. შრომის ანაზღაურება	8
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
9. ცვეთის ხარჯი	8
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8
11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9
12. ძირითადი საშუალებები	9
13. არამატერიალური აქტივები	9
14. მოკლევადიანი ვალდებულებები	10
15. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	10
16. საკუთარი კაპიტალი	10
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	10

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს დაზგა

საიდენტიფიკაციო კოდი: 206201929

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	3 696 405,00 ლ	2 995 499,00 ლ
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	-1 656 735,00 ლ	-1 285 948,00 ლ
საერთო მოგება		2 039 670,00 ლ	1 709 551,00 ლ
სხვა შემოსავალი	6	46 636,00 ლ	17 492,00 ლ
შრომის ანაზღაურება	7	-718 465,00 ლ	-558 965,00 ლ
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	-237 229,00 ლ	-248 008,00 ლ
ცვთვის ხარჯი	9	-183 115,00 ლ	-186 760,00 ლ
იჯარის ხარჯი	10	-23 426,00 ლ	-23 209,00 ლ
საოპერაციო მოგება		924 071,00 ლ	710 101,00 ლ
საფურსო სხვაობა	11	-23 882,00 ლ	-12 954,00 ლ
ფინანსური ხარჯი	12	-27 271,00 ლ	-35 608,00 ლ
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	13	5 632,00 ლ	-1 102,00 ლ
მოგება დაბეგვრამდე		878 550,00 ლ	660 437,00 ლ
მოგების გადასახადის ხარჯი		-3 433,00 ლ	-3 452,00 ლ
მიმდინარე წლის მოგება		875 117,00 ლ	656 985,00 ლ
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0 ლ	0,00 ლ
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	19	875 117,00 ლ	656 985,00 ლ
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2 948 866,00 ლ	2 753 545,00 ლ
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-332 368,00 ლ	-392 414,00 ლ
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-44 782,00 ლ	-69 250,00 ლ
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3 446 833,00 ლ	2 948 866,00 ლ

დირექტორი:

ბექა ჟორჟოლიანი

ხელმოწერა:




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს დაზგა

საიდენტიფიკაციო კოდი: 206201929

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი				
აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე აქტივები		1 822 704,00 ლ	1 522 227,00 ლ	1 389 458,00 ლ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	758 677,00 ლ	577 380,00 ლ	385 352,00 ლ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		39 005,00 ლ	62 433,00 ლ	72 482,00 ლ
გაცემული ავანსები		24 700,00 ლ	23 596,00 ლ	32 850,00 ლ
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	994 525,00 ლ	838 210,00 ლ	895 132,00 ლ
სხვა მიმდინარე აქტივები		5 797,00 ლ	20 608,00 ლ	3 642,00 ლ
გრძელვადიანი აქტივები		2 089 233,00 ლ	2 114 748,00 ლ	2 224 533,00 ლ
ძირითადი საშუალებები	13	2 086 505,00 ლ	2 113 387,00 ლ	2 223 617,00 ლ
არამატერიალური აქტივები	14	2 728,00 ლ	1 361,00 ლ	916,00 ლ
სულ აქტივები		3 911 937,00 ლ	3 636 975,00 ლ	3 613 991,00 ლ
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე ვალდებულებები		148 148,00 ლ	222 157,00 ლ	325 104,00 ლ
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	96 791,00 ლ	184 032,00 ლ	287 056,00 ლ
მიღებული ავანსები		35 136,00 ლ	0,00 ლ	0,00 ლ
საგადასახადო ვალდებულებები		16 221,00 ლ	38 125,00 ლ	38 048,00 ლ
გრძელვადიანი ვალდებულებები		316 956,00 ლ	465 952,00 ლ	535 342,00 ლ
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		316 956,00 ლ	465 952,00 ლ	535 342,00 ლ
საკუთარი კაპიტალი		3 446 833,00 ლ	2 948 866,00 ლ	2 753 545,00 ლ
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	19	875 117,00 ლ	656 985,00 ლ	739 147,00 ლ
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3 911 937,00 ლ	3 636 975,00 ლ	3 613 991,00 ლ
დირექტორი:				
ხელმოწერა:				
ბექა ყორყოლიანი				



შპს დაზგა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

დაზგა (ს/კ 206202029) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 4ა. საქმიანობის სახე: სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით, სამრეწველო ტექნიკის და მოწყობილობების დაყენება, სხვა მოწყობილობების რემონტი, მანქანების და მოწყობილობების რემონტი, სხვა ბეჭდვითი საქმიანობა. კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ბექა ჟორჟოლიანი 01013008088 - 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს დამოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი

გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 2%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 10-30 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ასევე, აქტივთა გარკვეულ ჯგუფებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების მათსავე სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბარი გადანაწილებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება დაშეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შე-მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყო-ვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერია-ლური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულო-ბის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივად-არდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტი-ვის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვე-ვაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებუ-ლი სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული

ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადამცემს კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო(ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებულიქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივისაპრო-ცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსურიხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტი-ვებიჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებუ-ლი აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ანზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემო-სულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და

ასა-ხეზა ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები		
	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 587 321	2 838 794
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	109 084	156 705
	3 696 405	2 995 499
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
	2024	2023
გაყიდული/შემენილი საქონელი	1 645 494	1 277 485
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	1 317	4 298
ტრანსპორტირების ხარჯები	9 925	4 165
	1 656 735	1 285 948
6. სხვა შემოსავალი		
	2024	2023
არასაოპერაციო შემოსავალი	46 636	17 492
	46 636	17 492
7. შრომის ანაზღაურება		
	2024	2023
შრომის ანაზღაურება	-694 138	-538 939
ჯანმრთელობის დაზღვევა	-14 286	-12 267
საპენსიო ფონდი	-10 042	-7 759
	-718 465	-558 965

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
კომუნალური გადასახდელები	-24 635	-21 661
ქონების გადასახადი	-16 994	-17 472
ოფისის ხარჯი	-20 723	-17 044
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	-16 082	-41 256
ქონების დაზღვევა	-27 563	-14 212
ოფისის კეთილმოწყობის ხარჯი	-4 035	-3 544
საწვავის ხარჯი	-3 869	-15 023
ბანკის მომსახურების ხარჯი	-7 530	-6 491
მივლინების ხარჯი	-27 839	-19 395
კომპიუტერის ხარჯი	-3 037	-1 182
სხვა საერთო ხარჯი	-84 923	-90 728
	-237 229	-248 008

9. ცვეთის ხარჯი

	2024	2023
მანქანა-დანადგარების ცვეთა	-132 728	-134 203
შენობა-ნაგებობების ცვეთა	-18 873	-18 822
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-16 203	-16 789
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	-2 763	-4 996
ავტომობილების ცვეთა	-11 511	-11 481
არამატერიალური აქტივების ცვეთა	-900	-469
	-182 978	-186 760

10. იჯარა

	2024	2023
იჯარა - წულაძის ქ. N29	-22 969	-22 500
ავტომობილის იჯარა	-457	-709
	-23 426	-23 209

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	266	3 009
ეროვნული ვალუტა რეზიდენტბანკში	155 071	332 800
უცხოური ვალუტა რეზიდენტბანკში	603 339	241 571
	758 677	577 380

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
საქონელი	809 367	697 397
ნედლეული და მასალები	160 016	127 022
მზა პროდუქცია	1 380	2 108
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	21 700	11 683
	992 464	838 210

13. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2024 წ.	784 240	779 273	46 470	1 851	86 348	1 698 182
წინა წლის კორექტირება	0	23 124	1 912	2 926	-28	27 934
შემოსვლა	0	151 547	18 429	3 230	0	173 206
გასვლა	0	44 710	498	706	0	45 914
31.12.2024 წ.	784 240	909 234	66 313	7 301	86 320	1 853 408

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2024 წ.	0	0	0	0	0	0
წლიური ცვეთა	18 873	132 759	16 203	2 762	11 511	182 108
31.12.2024 წ.	18 873	132 759	16 203	2 762	11 511	182 108
საბალანსო ღირებულება	765 367	776 475	50 110	4 539	74 809	1 671 300

კომპანია ასევე ფლობს მიწის ნაკვეთს, რომლის ღირებულებაც შეადგენს 415,205 ლარს.

14. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამები
1 იანვარი 2024 წ.	1361
შემოსვლა	2372
გასვლა	0
ცვეთა	1005
31.12.2024 წ.	2728

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
კრედიტორული დავალიანება ფიზიკურ პირებზე	0	0
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტ საწარმოებზე	8 059	15 264
კრედიტორული დავალიანება არარეზიდენტ საწარმოებზე	88 732	145 098
მიღებული ავანსები	35 136	23 670
	131 927	184 032

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. ასევე მხოლოდ საჭირო შემთხვევაში ქრაობს ავტომობილს

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:

16. ფართის იჯარა

2024	2023
22 969	22 500
0	22 500

17. ავტომობილის იჯარა

	2024	2023
	457	709
	457	709

18. საკუთარი კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 3 446 833 ლარს, რომელიც შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
04.09.25 წელს

დირექტორი:

ბეჟა ჟორჟოლიანი

ხელმოწერა:

